

მულტიკომპონენტური რეაქციებით ადამანტანის ბირთვის შემცველი ახალი
ნაერთების სინთეზი და კვლევა

თამარი ტაბატაძე

ელ-ფოსტა: tamar.tabatadze302@ens.tsu.edu.ge

ორგანული ქიმია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, 0179, თბილისი,
საქართველო

ანოტაცია

ჩატარებული იქნა მულტიკომპონენტური (Ugi-4CR & Passerini-3CRs) რეაქციებით ადამანტანის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიური ახალი ნაერთების სერიის სინთეზი. Ugi-4CR რეაქციაში მორეაგირე კომპონენტებად გამოყენებული იქნა 1-იზოციანოადამანტანი და ეთლიზოციანოაცეტატი, არომატული/ალიფატური ოქსონაერთები, არომატული/ალიფატური ამინები და კარბონმჟავები. პასერინის რეაქციაში მორეაგირე კომპონენტებად შერჩეული იქნა ადამანტან-1-კარბონმჟავა, ფენილგლიოქსალი და არომატული/ალიფატური კარბონმჟავები. უგის და პასერინის რეაქციებისთვის ოპტიმალური პირობების დასადგენად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები სხვადასხვა გამხსნელების და გამხსნელთა ნარეგების გამოყენებით სხვადასხვა ტემპერატურაზე. სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურების დასადგენად ჩატარდა სინთეზირებული ნაერთების ფიზ-ქიმიური კვლევა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში განხორციელებულია სინთეზირებული ნაერთის კვლევა ანტიმიკრობულ აქტიურობაზე.